



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 488
29/01/2019

488-09-2-201901291146



*ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს*

ბატონო ბესიკ,

როგორც მოგეხსენებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ, მიმდინარე წლის 24 იანვარს წარმოდგენილია NGOV 8 19 00002497 საკონსულტაციო დასკვნა. (წარმოგიდგენთ დანართის სახით)


ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ, გათვალისწინებული იქნა ზემოაღნიშნულ დასკვნაში მითითებული შენიშვნები, რომელმაც ცვლილების შეტანა განაპირობა არა მხოლოდ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტში, არამედ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების

ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტში.

ზემოაღნიშნულ პროექტებს წარმოგიდგენთ დანართის სახით.

პატივისცემით,

გიორგი ფაცურია



მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

----- წლის იანვარი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამები:

1. განათლების ხელშეწყობის პროგრამა დანართი N1-ის შესაბამისად.

- ა) ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა.
- ბ) განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამა.
- გ) ტრანსპორტირების ქვეპროგრამა.

2. კულტურის ღონისძიებების პროგრამა დანართი N2-ის შესაბამისად.

- ა) კულტურული ღონისძიებების ორგანიზების ქვეპროგრამა.
- ბ) კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანებისა და შემოქმედებითი კოლექტივების წახალისების ქვეპროგრამა.
- გ) ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამა.
- დ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების ქვეპროგრამა.
- ე) კულტურული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა.

3. სპორტული ღონისძიებების პროგრამა დანართი N3-ის შესაბამისად.

- ა) საჩუქრების და პრიზების შეძენის ქვეპროგრამა.
- ბ) წარმატებული სპორტსმენისა და მწვრთნელის, ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამა.
- გ) ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერის ქვეპროგრამა.
- დ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების ქვეპროგრამა.
- ე) ტრანსპორტირებით მხარდაჭერის ქვეპროგრამა.

4. ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამა დანართი N4-ის შესაბამისად.

- ა) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა.
- ბ) შ.შ.მ. ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა.

მუხლი 2. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N2 განკარგულება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ხელშეწყობა			დაფინანსება ათას ლარში
	04 03				7,500.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას; საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას;</p> <p>ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოთი წახალისებას ;</p> <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა წახალისება ფულადი ჯილდოთი;</p> <p>სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით წახალისებას.</p>				
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, წარმატებული მოსწავლეებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება.				
	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)

შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	თანადაფინანსებული პროექტები	2018 წელს განხორციელდა 2 პროექტის („ჩვენ და უცხო ენები“; „ეტალონის“) თანადაფინანსება	2019 წელს გაგრძელდ ება 2 პროექტის („ჩვენ და უცხო ენები“ თანადაფი	0%
---------------------------------	---	--------------------------------	---	---	----

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსება		დაფინანსება ათას ლარებში	
				შემდეგი 1 წელი	
				3 500 ლარი	
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ღანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება, მოვახდინოთ, მედიაპროექტ „ეტალონის“ და პროექტის „ჩვენ და უცხო ენების“ თანადაფინანსება. ასევე ფიზიკური და იურიდიული პირების მომართვის საფუძველზე დაფინანსდება სხვადასხვა ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტები.				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	2019 წელს თანადაფინანსებით განხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი.				
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი - ორი	დასაფინანსებელი პროექტების მაჩვენებლის ზრდა	1%	მომართვიანობის რაოდენობა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისება	დაფინანსება ათას ლარებში		
			შემდეგი 1 წელი		
			3 000 ლარი		
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება, ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა წახალისება ფულადი ჯილდოთი;</p> <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა წახალისება ფულადი ჯილდოთი;</p> <p>სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.</p> <p>აღნიშნული პროგრამის მიზანია მოსწავლე- ახალგაზრდების წახალისება, მათი მოტივაციის გაზრდა, წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების დაფასება.</p>				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს შესაძლებელი იქნება განათლების სფეროში მოღვაწე 100-მდე წარმატებული ადამიანების წახალისება სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.				
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი

	1	10 ზენეფიცარი	100 ზენეფიცარი	10%	0
--	---	---------------	----------------	-----	---

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	ტრანსპორტირებით დახმარება		დაფინანსება ათას ლარებში	
				შემდეგი 1 წელი	
				1 000 ლარი	
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში, ფიზიკური და იურიდიული პირების მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნება მათი საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეობა. პროგრამის მიზანია, საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	პროგრამის ფარგლებში 2019 წელს შესაძლებელი იქნება მოქალაქეთა ტრანსპორტირებით დახმარების გაწევა სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დასასწრებად და მონაწილეობის მისაღებად.				
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	ბენეფიციართა რაოდენობა 150	ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა		

დანართი N2

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებები			დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 02				17,500.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.				
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას;</p> <p>კულტურული პროექტების თანადაფინანსებას;</p> <p>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას;</p> <p>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.</p>				
მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;</p> <p>პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.</p>				
	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)

შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	2018 წელს ჩატარდა 3 ღონისძიება (ლელო, Sunsetfet თანადაფინანსება; არტგენი თანადაფინანსება)	2019 წელს ჩატარდება არანაკლებ 3 ღონისძიება (ლელო, Sunsetfet თანადაფინანსება; ლანჩუთობა)	0%
---------------------------------	---	--	---	---	----

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება	დაფინანსება ათას ლარებში		
			შემდეგი 1 წელი		
			13 500 ლარი		
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.				
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება, ადგილობრივი, რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზება;				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მიმდინარე წელს სადღესასწაულო დღეების აღნიშვნა, რაც გათვლილია მოსახლეობისა და სტუმრების დიდ რაოდენობაზე.				
	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი

შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1	ლონისძიებები და ფესტივალები მონაწილეობის მიღების რაოდენობრივი მაჩვენებელი და ხარისხი	დაინტერესებულ პირთა რაოდენობის ზრდა	0%	
---	--	-------------------------------------	----	--

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	კულტურული პროექტების თანადაფინანსება				დაფინანსება ათას ლარებში	
						შემდეგი 1 წელი	
			1 000 ლარი				
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.						
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა თვალისწინებს ხელოვნების ახალი მიმართულებების, შემოქმედთა ახალი იდეების მხარდაჭერას; ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ინოვაციური, კრეატიული პროექტების განხორციელების ხელშეწყობას; ქვეპროგრამის ფარგლებში ფიზიკური და იურდიული პირების მომართვის საფუძველზე შესაძლებელი იქნება მოვახდინოთ კულტურული პროექტების თანადაფინანსება, ასევე, პროექტ „ბახმაროს სან სეტ ფესტივალი“ თანადაფინანსება;						
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	2019 წელს დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული ხასიათის პროექტი, რაც გაზრდის მოსახლეობის დაინტერესებას კულტურის სფეროსადმი.						
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი		
	1	დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი	დასაფინანსებელი პროექტების მაჩვენებლის ზრდა 2%	1%			

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	კულტურის და ხელოვნების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანებისა და შემოქმედებითი კოლექტივების წახალისება	დაფინანსება ათას ლარებში	
			შემდეგი 1 წელი	
			1000 ლარი	
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური		ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.		
ქვეპროგრამის/ღონისძიების ღწერა და მიზანი		კულტურის სფეროში მოღვაწე მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისება ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.		
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი		ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად წახალისდება 50-მდე წარმატებული შემოქმედი ადამიანი, გაიზრდება მათი მოტივაცია.		

შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	წახალისებული 50-მდე ადამიანი	ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა	5%	0
	2				
	3				

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა			დაფინანსება ათას ლარებში	
					შემდეგი 1 წელი	
					1 000 ლარი	
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.					
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში, ფიზიკური და იურიდიული პირების მომართვის საფუძველზე, უზრუნველყოფილ იქნება კულტურულ ღონისძიებებში მონაწილე პირების, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. პროგრამის მიზანია, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობის ზრდა და მათი მონაწილეობის ხელშეწყობა.					
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად 2019 წელს შესაძლებელი იქნება კულტურის სფეროში მოღვაწე პირების და დაინტერესებული ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობის გაზრდა, მათი ცნობიერების ამაღლება, გამოცდილების გაზიარება და პროფესიული განვითარება.					
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	
	1	ბენეფიციართა რაოდენობა 170	ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა	1%	მომართვიანობის რაოდენობა	

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია	დაფინანსება ათას ლარებში			
			შემდეგი 1 წელი		შემდეგი 4 წელი	
			1 000 ლარი			
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მატერიალური და არამატერიალური, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოძიების, აღწერისა და პასპორტიზაციის ხელშეწყობა.</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობის, მონიტორინგისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა;</p> <p>ექსპოზიცია-გამოფენების, შემეცნებითი ექსკურსია-ლაშქრობების მოწყობა. პროგრამის მიზანია, საზოგადოებაში, ახალგაზრდებში კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის, მისი მოვლა-პატრონობის წესის დამკვიდრება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობისადმი დაინტერესების გაზრდა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.</p>				
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი		პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ეკლესია-მონასტრების, ისტორიული არქიტექტურის დაცვა და პოპულარიზაცია; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება.				
		#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
საბოლოო შედეგის ინდიკატორი		1	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვიანობის არ არსებობა	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვიანობის მოწესრიგებახლად გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა და საჭიროებების გამოვლენა	1%	

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 01 02		შემდეგი 1 წელი	შემდეგი 4 წელი
			16,000.0	80,000.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი;</p> <p>ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;</p> <p>პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობასღებულობენ ლანჩხუთის მინიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება</p>			
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული და სხვა; ფულადი და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებულია ახალგაზრდა წარმატებული სპორტსმენები, მათი მწვრთნელები და ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენები.			

	N	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	2018 წელს ჩატარდა 20-მდე სხვადასხვა სპორტული ღონისძიება	2019 წელს დაგეგმილია არანაკლებ 25 სპორტული ღონისძიება	20% - დამოკიდებულია მომართვიანებაზე და ფინანსურ რესურსებზე
	2	დაჯილდოებული და წახალისებული სპორტსმენები	2018 წელს დაჯილდოვდა 50-მდე წარმატებული სპორტსმენი და მწვრთნელი	2019 წელს წინასწარი ვარაუდით დასაჯილდოებელი სპორტსმენების და მწვრთნელების რაოდენობა შენარჩუნდება წინა წლების მაჩვენებლის დონეზე	20% - დამკიდებულია სპორტსმენების მიერ მიღწეულ შედეგებზე

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	საჩუქრების და პრიზების შეძენა		დაფინანსება ათას ლარებში	
				შემდეგი 1 წელი	
				3,000.0	
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.				
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე და ტურნირებზე ახალგაზრდებისა და მასში მონაწილე სპორტცმენების წახალისება თასებით, მედლებით და სიგელებით ფასიანი საჩუქრებით.				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	ახალგაზრდებში მოტივაციისა ამაღლება და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია.				
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	"სასკოლო სპორტული ოლიმპიადა" "ევროპის სპორტის კვირეული." "სპორტი ბარიერების გარეშე" "ახალგაზრდული სპორტული ტურნირების ოგანიზება" სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა სპორტული აქტივობები (ჩიბათობა, დრმადლეობა, ლელო,) ღონისძიებებში გამარჯვებულების დაჯილდოვება.	"სასკოლო სპორტული ოლიმპიადა" "ევროპის სპორტის კვირეული." "სპორტი ბარიერების გარეშე" "ახალგაზრდული სპორტული ტურნირების ოგანიზება" სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა სპორტული აქტივობები (ჩიბათობა, დრმადლეობა, ლელო,) ღონისძიებებში გამარჯვებულების დაჯილდოვება.	5%	

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	წარმატებული სპორტსმენისა და მწვრთნელის, ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენის წახალისება		დაფინანსება ათას ლარებში	
				შემდეგი 1 წელი	6000
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისებას ფულადი ჯილდოთი; ასევე ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოებას ფულადი და ფასიანი საჩუქრებით. პროგრამის მიზანია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების, ასევე ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების წახალისება, მოტივაციის გაზრდა, მათი გაწეული შრომის დაფასება, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.</p>				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	ახალგაზრდებში მოტივაციის ამაღლება, მათი დაოსტატების ხელშეწყობა, მწვრთნელების და ღვაწლმოსილი ვეტერან სპორტსმენების მიერ გაწეული ღვაწლის დაფასება.				
	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი

შუალედური/საბოლოო
შედეგის შეფასების
ინდიკატორი

1	50-მდე მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს სხვადასხვა სპორტულ ჩემპიონატებში საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენების მწვრთნელის, ფულადი დაჯილდოება	მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს სხვადასხვა სპორტულ ჩემპიონატებში საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენების მწვრთნელის, ვეტერანების ფულადი დაჯილდოება, წახალისება.	10%	მომართვიანობის რაოდენობა
---	---	---	-----	--------------------------

ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება	კოდი	ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერა			დაფინანსება ათას ლარებში	
					შემდეგი 1 წელი	
						3,000.0
ქვეპროგრამის/ლონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.					
ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები ახალგაზრდების, მასიური ჩაბმა, სპორტის სხვადასხვა სახეობებში. სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.					
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	ახალგაზრდებში მოტივაციისა ამაღლება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.					
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	
	1	10 ადმინისტრაციულ ერთეულში "ახალგაზრდული სპორტული ტურნირების ორგანიზება" სხვადასხვა სპორტული აქტივობები (ჩიბათობა, ღრმადლეობა ,ლელო,.....)	12 ადმინისტრაციულ ერთეულში "ახალგაზრდული სპორტული ტურნირების ორგანიზება" სხვადასხვა სპორტული აქტივობები (ლანჩხუთობა, ჩიბათობა, ღრმადლეობა ,ლელო,.....)	10%	მომართვიანობის რაოდენობა	
	3					

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარება		დაფინანსება ათას ლარებში	
				შემდეგი 1 წელი	2500
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.				
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართვა სხვადასხვა სახის სპორტულ და ახალგაზრდულ აქტივობებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	ახალგაზრდებში სპორტული მოტივაციის ამაღლება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.				
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ყველა საჯარო და საბაზო სკოლებს შორის, სპორტის 8 სახეობაში ჩატარდა "სასკოლო სპორტული ოლიმპიადა" და "სპორტი ბარიერების გარეშე".	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ყველა საჯარო და საბაზო სკოლებს შორის, სპორტის 8 სახეობაში ჩატარდა "სასკოლო სპორტული ოლიმპიადა" და "სპორტი ბარიერების გარეშე".	5%	

ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება	კოდი	ტრანსპორტირებით მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარებში		
			შემდეგი 1 წელი	1500	
ქვეპროგრამის/ლონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.				
ქვეპროგრამის/ლონისძიების აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე ლანჩხუთელი სპორტსმენებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირებით ხელშეწყობა.				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების და სპორტსმენების სხვადასხვა სახის სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.				
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	200 მდე ახალგაზრდის და მოსწავლის ტრანსპორტირება	სხვადასხვა სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებზე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა	5.0%	მომართვიანობის რაოდენობა

დანართი N4

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა			დაფინანსება ათას ლარებში
	05 03				9,000.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <p>შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში;</p> <p>დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;</p> <p>შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში;</p> <p>ახალგაზრდული პროექტები მომართვიანობის მიხედვით;</p> <p>პროგრამის მიზანია ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.</p>				
მოსალოდნელი შედეგი	შშმ პირების საზოგადოებაში ჩართვის ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდულ პოლიტიკასთან				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	1	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	2018 წელს ჩატარდა 5 ღონისძიება. მათ შორის 2 ახალგაზრდული და 3 შშმ პირთა პროექტები	2019 წელს დაგეგმილია გასული წლის მსგავსად არანაკლებ 5 ღონისძიების ჩატარება	20% - დამოკიდებულია მომართვიანებაზე და ფინანსურ რესურსებზე

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	შ.შ.მ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა		დაფინანსება ათას ლარებში	
				შემდეგი 1 წელი	3000
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.				
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შ.შ.მ. ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაცია და მათი მოტივირება გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო	ინფრასტრუქტურისა და ადაპტირებული გარემოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს შშმ ახალგაზრდების მაქსიმალურ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.				
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში; დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში;	შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში; დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში;	10%	

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	ახალგაზრდული პროექტების თადაფინანსება	დაფინანსება ათას ლარებში		
			შემდეგი 1 წელი	6000	
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.				
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტური და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	ახალგაზრდებში მოტივაციისა ამაღლება და ინტელექტუალური, კრეატიული, ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა.				
შუალედური/საბოლოო შედეგის ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	ღონისძიება არა ძალადასრულებული და არა შენი მეგობარი. ახალგაზრდული პროექტი "ფერების ფესტივალი"	არსებული პროგრამა ითვალისწინებს ინტელექტუალური, კრეატიული, ინოვაციური პროექტების მხარდაჭერას	5%	

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N

2019 წლის იანვარი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ - კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1 დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ - კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2 დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხიდან ჯილდოს გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N3 დადგენილება (ვებ. გვერდი, 02.02.2016, სარ. კოდი 010250000.35.112.016254).

მუხლი 3 დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ - კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი არეგულირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების, დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხიდან განათლების, კულტურის და სპორტის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების დაჯილდოების, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: ა) **ჯილდო** – ერთჯერადი ფულადი ჯილდო;

ბ) **წარმატებული სპორტსმენი** – ოფიციალურ საქართველოს ჩემპიონატში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე, რომელმაც დაიკავა I, II, III ადგილი, ასევე სპორტსმენი, რომელმაც დაიკავა I, II, III ადგილი, ოფიციალურ ოლიმპიურ, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატში;

გ) **წარმატებული მწვრთნელი** – ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წარმატებული სპორტსმენის მწვრთნელი;

დ) **წარმატებული სპორტული გუნდი** – ოფიციალურ საქართველოს ჩემპიონატში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე, რომელმაც დაიკავა I, II, III ადგილი;

ე) **ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენი** - წარსულში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით წარმატებულად მოასპარეზე სპორტსმენი;

ვ) **წარმატებული მოსწავლე/ახალგაზრდა** - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სასწავლო-საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი დაწესებულებისა და სახელოვნებო სკოლების მოსწავლე, ასევე ახალგაზრდა, რომელმაც დაიკავა I საპრიზო ადგილი საქართველოსა და საერთაშორისო კონკურსებში; მედია-პროექტის ფინალისტები, რომლებიც მონაწილეობენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლის ვერცხლისა და ოქროს მედალოსანი მოსწავლეები; ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელი;

ზ) **ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ინდივიდუალური შემსრულებლები** – მუსიკოსები, მომღერლები, მოცეკვავეები, მსახიობები, მხატვრული კითხვის ოსტატები, კომპოზიტორები, მხატვრები, მწერლები, პოეტები, მსახიობები და სხვა;

თ) **ხელოვნების წარმომადგენლობები** – ანსამბლები, დასები, ჯგუფები, გუნდები, ტრიოები, კვარტეტები და სხვა;

ი) შემოქმედებითი დასების ხელმძღვანელი პირები - პედაგოგები, კონცერტმასტერები, რეჟისორები, მუსიკალური ხელმძღვანელები, კომპოზიტორები, ქორეოგრაფები, ლობტარები, რეგენტები, დირიჟორები, და სხვა, ვინც უშუალოდ მოამზადა ინდივიდუალური შემსრულებელი, ამა თუ იმ შემოქმედებითი დასისთვის შექმნა ან მოამზადა საკონკურსო ნომერი და უხელმძღვანელა მის ფესტივალ-კონკურსზე წარდგენას.

კ) პროექტი - განმცხადებლის მოთხოვნების შესრულებისათვის შექმნილი კომპლექსური, არარუტინული, ერთჯერადი საქმიანობა, რომელიც შემოსაზღვრულია დროით, ბიუჯეტით, რესურსებით და ტექნიკური მახასიათებლებით.

მუხლი 3. წარმატებული სპორტსმენის, მწვრთნელის, დეაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენის დაჯილდოება:

1. წარმატებული სპორტსმენის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:
 - ა) საქართველოს ჩემპიონატის I ადგილი – 400 ლარი, II ადგილი – 300 ლარი, III ადგილი – 200 ლარი;
 - ბ) ევროპის ჩემპიონატის I ადგილი – 600 ლარი, II ადგილი – 400 ლარი, III ადგილი – 300 ლარი;
 - გ) მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილი – 800 ლარი, II ადგილი – 600 ლარი, III ადგილი – 400 ლარი;
 - დ) ოლიმპიური თამაშების I ადგილი – 1000 ლარი, II ადგილი – 800 ლარი, III ადგილი – 600 ლარი;
2. წარმატებული სპორტსმენის მწვრთნელის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:
 - ა) საქართველოს ჩემპიონატის I ადგილი – 300 ლარი, II ადგილი – 200 ლარი, III ადგილი – 100 ლარი;
 - ბ) ევროპის ჩემპიონატის I ადგილი – 500 ლარი, II ადგილი – 300 ლარი, III ადგილი – 200 ლარი;
 - გ) მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილი - 600 ლარი, II ადგილი - 400 ლარი, III ადგილი - 300 ლარი;
 - დ) ოლიმპიური თამაშების I ადგილი - 1000 ლარი, II ადგილი - 800 ლარი, III ადგილი - 600 ლარი;
3. წარმატებული გუნდის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით: საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატის I-ადგილი 1000 ლარი, II-ადგილი 700 ლარი, III-ადგილი 500 ლარი.
4. დეაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს საბიუჯეტო წლის მანძილზე ერთჯერადად გასაცემი თანხით 300 ლარის ოდენობით.

მუხლი 4. წარმატებული მოსწავლე/ახალგაზრდის დაჯილდოება

1. წარმატებული მოსწავლე/ახალგაზრდის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:
 - ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი - 100 ლარი;
 - ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი - 200 ლარი;
2. მედია-პროექტის ფინალისტების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:
 - ა) მედია-პროექტის გამარჯვებული I ადგილი - 500 ლარი;
3. სკოლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:
 - ა) ოქროს მედალოსანი მოსწავლე - 300 ლარი;
 - ბ) ვერცხლის მედალოსანი მოსწავლე - 200 ლარი;
4. ერთიან ეროვნულ და საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდო განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელი - 1 000 ლარი;

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელი - 1 000 ლარი;

მუხლი 5. ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ინდივიდუალური შემსრულებლების, ხელოვნების წარმომადგენლობების, შემოქმედებითი დასების ხელმძღვანელი პირების დაჯილდოება

1. ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ინდივიდუალური შემსრულებლების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 100 ლარი;

ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 200 ლარი;

2. ხელოვნების წარმომადგენლობების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 800 ლარი;

ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 1000 ლარი;

3. შემოქმედებითი დასების ხელმძღვანელი პირების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 100 ლარი;

ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 200 ლარი.

მუხლი 6. ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსება

ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 1000 ლარისა.

მუხლი 7 . დაფინანსების მისაღებად განაცხადებისა და საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა

1. წარმატებულმა სპორტსმენმა ან შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელმა, წარმატებულმა მოსწავლე/ახალგაზრდამ, ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ინდივიდუალურმა შემსრულებელმა, შემოქმედებითი დასის ხელმძღვანელმა პირმა და ხელოვნების წარმომადგენლობებმა, (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენელი) მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა წარადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი (ცნობა რეგისტრაციის ადგილის შესახებ);

გ) შესაბამისი საპრიზო ადგილის/საპატიო წოდების დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) განმცხადებლის/კანონიერი წარმომადგენლის ანგარიშის ნომრის ამონაწერი საბანკო დაწესებულებიდან;

2. ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტის თანადაფინანსების მიზნით (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენელი) მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) საპროექტო განაცხადი (თანდართული ხარჯთაღრიცხვით);

დ) განმცხადებლის/კანონიერი წარმომადგენლის ანგარიშის ნომრის ამონაწერი საბანკო დაწესებულებიდან.

მუხლი 8. ჯილდოს გაცემის წესი

1. შესაბამისი პირის/დაწესებულების მომართვას ჯილდოს გაცემის თაობაზე განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური და შესაბამის დასკვნას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ჯილდოს გაცემის შესახებ.

2. ამ წესით განსაზღვრული ფულადი ჯილდოს გაცემა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის გათვალისწინებით.